ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №090501/31/281

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2010 წლის 20 დეკემბერს, ერთი მხრივ ქ. თბილისის მერიის ისანი-სამგორის გამგეობასა (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „არსაკიძე-2000“-ს (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.
იმის გათვალისწინებით, რომ: შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი ისანი-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ქუჩებისა და შიდა ეზოების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება_ და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე 3 389 433.23 (სამი მილიონ სამას ოთხმოცდაცხრა ათას ოთხას ოცდაცამეტი ლარი და 23 თეთრი) ლარი (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“), მათ შორის 2011 წელს 1 694 716,61 ლარი და 2012 წელს 1 694 716.62 ლარი.

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში;

2. ქვემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და ითვლებიან მის განუყოფელ ნაწილად. კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, სამუშაოების შესრულების მეთოდები და ხარჯთაღრიცხვა;

გ) სამუშაოებს შესრულების ვადები;

დ) ტექნიკური პირობები;

ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;

ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

ზ) ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია;

თ) შესრულებული სამუშაოების ხარისხის საბანკო გარანტია.

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

116

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელის მოწერა და ბეჭედი ----------

თემურ გრიგალაშვილი - გამგებელი

(შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

ხელის მოწერა და ბეჭედი ----------

ნიკო სარალიძე – შპს „არსაკიძე-2000“-ის დირექტორი

(მიმწოდებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

სატენდერო წინადადება

თარიღი: 24.11.2010წ

ვის: **ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობას**

(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: **შპს "არსაკიძე-2000", ქ.თბილისი, ხომლელის ქ. კორპ 5ა, ბ.52**

(პრეტენდენტის დასახელება და მისამართი)

შევისწავლეთ რა სატენდერო დოკუმენტაცია, თანახმა ვართ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ:

ქ.თბილისში, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (2011-2012წწ)

(შესყიდვის ობიექტის აღწერა)

შესრულება და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად:

შესყიდვის ობიექტის დასახელება	ფასი ციფრებით	ფასი სიტყვიერად
ქ.თბილისში, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (2011-2012წწ)	3389433-23	სამი მილიონ სამას ოთხმოცდაცხრა ათას ოთხას ოცდაცამეტი ლარი და 23 თეთრი

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ სამუშაოს შესრულება 01.01.2011 წლიდან და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ "ხელშეკრულება") ძალაში შესვლიდან 31.12.2012 წელს. *(სატენდერო დოკუმენტაციის "სამუშაოების შესრულების ვადები" მოთხოვნების შესაბამისად აქ შეიძლება ჩაიწეროს სამუშაოს შესრულების დაწყება-დასრულების კონკრეტული თარიღი).*

სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენი სატენდერო წინადადება უზრუნველყოფილია გარანტიით 34 000 ლარი (ოცდათოთხმეტი ათასი ლარი 00 თეთრი).

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება **საბანკო გარანტია** შემდეგ თანხაზე: 169472 ლარი (ას სამოცდაცხრა ათას ოთხას სამოცდათორმეტი ლარი და 00 თეთრი)

ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდნობით

წინამდებარე სატენდერო წინადადება ძალშია **30** დღის განმავლობაში, დაწყებული შემდეგი თარიღიდან 24.11.2010წ.

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონსა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ" დებულებას და ტენდერის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

118

სატენდერო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

1. საშემსრულებლო ხარჯთაღრიცხვის ფორმა, გრაფიკი: 5 გვერდი;
2. ინფორმაცია სამუშაოების შესრულების მეთოდების შესახებ: 1 გვერდი;
   (სამუშაოების აღწერილობა, გამოსაყენებელი ძირითადი მასალის ხარისხი, საჭიროების შემთხვევაში ნახაზები და/ან სპეციფიკაციები)
3. განცხადება 1 გვერდი;
4. აფიდავიტი 2 გვერდი;
5. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტია 1 გვერდი;
6. ცნობა სასამართლოდან 1 გვერდი;
7. ცნობა საჯარო რეესტრიდან 2 გვერდი;
8. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან 1 გვერდი;
9. ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩატარებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ 1 გვერდი;
10. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ 3 გვერდი;
11. ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ 3 გვერდი;
12. ინფორმაცია ხარისხის გარანტიის ოდენობისა და ვადის შესახებ 1 გვერდი;
13. ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ 1 გვერდი;
14. ინფორმაცია სუბკონტრაქტორთა შესახებ 1 გვერდი;

№ ---------- დირექტორი
(ხელმოწერა) ბ.ა *(თანამდებობა)*

«ა.ა.ა. «არსაკიძე-2000» ARSAKIDZE-2000» LTD
2000 ARSAKIDZE
* 208208599 *

ქ.თბილისში, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (2011-2012წწ)

2010წ

ქ.თბილისში, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (2011-2012წწ)

№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	9	11
1	დაზიანებული ასფალტო-ბეტონის საფარის ფრეზირება და დატვირთვა ა/თვითმცლელზე	$მ^2$	5000	2,8	14000,00
2	დაზიანებული ასფალტო-ბეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით და დატვირთვა ა/თვითმცლელზე	$მ^3$	1000	2,9	2900,00
3	ორმოების ნაწიბურების დამუშავება მთელ პერიმეტრზე ხერხით	გრძ.მ	14000	0,9	12600,00
4	III კატეგორიის გრუნტის (ან ნაშალი მასალის) დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ა/თვითმცლელზე	$მ^3$	100	1,4	140,00
5	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით და დატვირთვა ა/თვითმცლელზე	$მ^3$	40	1,4	56,00
6	დაზიანებული ბორდიურის დემოტაჟი და დატვირთვა ა/თვითმცლელზე	გრძ.მ	1800	1,9	3420,00
7	ბეტონის ან კლდოვანი გრუნტის დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ა/თვითმცლელებზე	$მ^3$	14	0,5	7,00
8	კიუვეტების გაწმენდა და დატვირთვა ა/თვითმცლელზე	$მ^3$	10	1,1	11,00
9	სამშენებლო ნაგვის გატანა ნაგავსაყრელზე საშუალოდ 10კმ-ზე	$მ^3$	1654	3,1	5127,40
10	არსებული ბორდიურების მონტაჟი (ბეტონი, ბაზალტი) ბეტონის საფუძველზე, საფუძვლისათვის გამოიყენება არანაკლებ B10 ბეტონი 0,035 $მ^3$ გრძივი მეტრზე	გრძ.მ	1000	2,8	2800,00
11	ახალი ბაზალტის ბორდიურების (15X30X100) მონტაჟი ბეტონის საფუძველზე. საფუძვლისათვის გამოიყენება არანკლებ B10 ბეტონი 0,035 მ3 გრძივი მეტრზე	გრძ.მ	300	30,1	9030,00
12	ახალი ბეტონის ბორდიურების (15X30X100) მონტაჟი ბეტონის საფუძველზე. საფუძვლისათვის გამოიყენება არანკლებ B10 ბეტონი 0,035 მ3 გრძივი მეტრზე	გრძ.მ	5000	16,1	80500,00
13	ახალი ბაზალტის ბორდიურის (10X20X100) მოწყობა	გრძ.მ	200	18,8	3760,00
14	ახალი ბეტონის ბორდიურის (10X20X100) მოწყობა ბეტონის საფუძველზე. საფუძვლისათვის გამოიყენება არანკლებ B10 ბეტონი 0,035 მ3 გრძივი მეტრზე	გრძ.მ	300	12,5	3750,00
15	ახალი ბეტონის ბორდიურის (32X30X100) მოწყობა ბეტონის საფუძველზე	გრძ.მ	60	19,7	1182,00
16	ტროტუარის შევსება ფრაქციული ღორღით (0-10მმ)	$მ^3$	600	10,1	6060,00
17	ტროტუარის საფარის მოწყობა ქვიშოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით საშ. 3სმ.	$მ^2$	21000	11,2	235200,00
18	არსებული საკომუნიკაციო ჭების მოყვანა გზის ნიშნულზე ბეტონის ფუძეზე	ც	900	30,4	27360,00
19	ლითონის თვალამრიდების მოწყობა	გრძ.მ	40	10,2	408,00

121

20	ბეტონის თვალამრიდების მოწყობა	გრძ.მ	50	50,5	2525,00
21	საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშახრეშოვანი ნარევით (ფრაქციით 0/70მმ-მდე)	$მ^3$	400	8,9	3560,00
22	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით (0-40მმ)	$მ^3$	8400	10,88	91392,00
23	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა არსებული ასფალტის გრანულატით	$მ^3$	600	5	3000,00
24	თხევადი ბიტუმის მოსხმა ნაწიბურებზე 0,35ლ-დან 0,40ლ-მდე გრძივ მეტრზე	ლ	30000	1,5	45000,00
25	60%-იანი ბიტუმის ემულსიის მთელ ფართზე მოსხმა (0,35ლ/$მ^3$)	ლ	2000	1,5	3000,00
26	ნაწიბურების დამუშავება მოდიფიცირებული ბიტუმის ლენტით (მიკვრა)	გრძ.მ	300	6,2	1860,00
27	შემასწორებელი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ. სისქით 2,5სმ)	ტ	50	139	6950,00
28	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ. სისქით 4სმ.)	$მ^2$	25000	11,22	280500,00
29	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ. სისქით 5სმ.)	$მ^2$	1000	14,15	14150,00
30	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ. სისქით 6სმ.)	$მ^2$	600	16,58	9948,00
31	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ. სისქით 7სმ.)	$მ^2$	400	19,51	7804,00
32	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ. სისქით 3სმ.)	$მ^2$	23000	11,1	255300,00
33	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ. სისქით 4სმ.)	$მ^2$	22400	14,2	318080,00
34	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ. სისქით 5სმ.)	$მ^2$	64000	18,1	1158400,00
35	სიჩქარის შემზღუდავი გორაკის მოწყობა ა/ბეტონით	გრძ.მ	300	9,2	2760,00
36	ტროტუარის საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ცემენტით (0-40) (საშ.სისქით 10სმ.)	$მ^3$	60	10,1	606,00
37	ბეტონის ნაკეთობების აღდგენა ბეტონით (კიბის საფეხური, გზის საფარი, თვალამრიდი და სხვა)	$მ^3$	20	7,1	142,00
38	ბეტონის თვალამრიდების გასწორება	გრძ.მ	30	3	90,00
39	ლითონის თვალამრიდების გასწორება	გრძ.მ	20	4,1	82,00
40	ბეტონის ბოძკინტების გასწორება	ც	30	5,1	153,00
41	ბეტონის ბოძკინტების მონტაჟი	ც	10	7,2	72,00
42	ახალი გრანიტის ძელაკის საფარის მოწყობა	$მ^2$	400	8,2	3280,00
43	გრანიტის ძელაკით მოწყობილი საფარის აღდგენა	$მ^2$	300	4,2	1260,00
44	ახალი ბეტონის ქვაფენილის საფარის მოწყობა	$მ^2$	200	15,4	3080,00

45	ბეტონის ქვაფენილის საფარის აღდგენა	$მ^2$	100	8,1	810,00
46	დაზიანებული ქვაფენილის (რიყის ქვა) მოხსნა ხელით	$მ^2$	400	4,2	1680,00
47	საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ცემენტის ნარევით (ცემენტი 10%) სისქით 10სმ, 20სმ	$მ^3$	20	5,51	110,20
48	ქვაფენილის მოწყობა არსებული ქვით (რიყის ქვა)	$მ^2$	800	4,4	3520,00
49	ქვაფენილის მოწყობა ახალი რიყის ქვით	$მ^2$	1100	12,2	13420,00
50	ფრ.ღორღის (0-10) ჩასოლვა ქვაფენილის ზედაპირზე (1,0 $მ^3$/100 $მ^2$)	$მ^3$	10	15,1	151,00
51	სარტყელის მოწყობა ბეტონით	$მ^3$	14	4	56,00
52	ბ-25 მარკის მონოლითური ბეტონი (არმირებით)	$მ^3$	6	15	90,00
	ჯამი				2641142,60
	ზედნადები ხარჯები 2,6%				68669,71
	ჯამი				2709812,31
	მოგება 6%				162588,74
	ჯამი				2872401,05
	დღგ 18%				517032,19
	სულ				3389433,23

შპს "არსაკიძე-2000"-ის დირექტორი: ნ.სარალიძე

«ARSAKIDZE-2000» LTD * 208208599 *

123

ქ.თბილისში, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების (2011-2012წწ)
<u>გეგმა-გრაფიკი</u>

01.01.2011 წლიდან 31.12.2012 წლამდე

შპს "არსაკიძე-2000"-ის
დირექტორი: ნ.სარალიძე

124

ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის ქუჩების მიმდინარე
შეკეთების სამუშაოები (2011-2012წწ)

ტექნიკური პირობები

1. სამუშაოთა შემადგენლობა

სამუშაოები განხორციელდება ტექნიკური დავალების და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალის მიხედვით (თან ახლავს).

შენიშვნა:

სამუშაოების შესრულება განხორციელდება შემსყიდველის (წარმოდგენილი ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის სახით) მოთხოვნის საფუძველზე, რაიონის მიხედვით შესაკეთებელი კონკრეტული ობიექტის მისამართი, მოცულობა და შესრულების ვადები ეცნობება მიმწოდებელს;

სამუშაოები უნდა შესრულდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების და სტანდარტების შესაბამისად;

სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით მოხდეს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

სამუშაოების მიმდინარეობისას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, მიღებულ უნდა იქნას აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად, მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

ორმოების შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო

სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა

ტექნიკური დავალება

ა/ბ-ის ზედა ფენის დაზიანების შემთხვევა

1. დაზიანებული საფარის, ზედა ფენის მართკუთხა გეომეტრიული ფორმით ამოჭრა ფრეზის მეშვეობით, ან ჩაჭრა ასფალტის საჭრელი ხერხით და ამომტვრევა პნევმატური ჩაქუჩით.

2. ორმოების ძირის გასუფთავება შეკუმშული ჰაერის ჭავლის და ჯაგრისის მეშვეობით;

3. გასუფთავებულ ზედაპირზე 0.35 ლ/მ^2 ოდენობის ბიტუმის ემულსიის თანაბარი მოსხმა.

4. ჩაჭრილი მართკუთხოვანი კანტების გასუფთავება და თვითწებვადი ბიტუმის ლენტით ან თხევადი ბიტუმით დამუშავება.

5. წვრლიმარცვლოვანი ა/ბ-ის ცხელი ნარევის კონსტრუქციის შესაბამისი სისქით მოწყობა და მისი ვიბროსატკეპნით შემკვრივება (მცირე ფართის შემთხვევაში შესაძლებელია ვიბრო ფილის გამოყენება); 5სმ ≤ ფენის სისქის შემთხვევაში ნარევი უნდა შემკვრივდეს ორ ფენად.

ა/ბ-ის ორი ფენის დაზიანების შემთხვევა

1. დაზიანებული საფარის მართკუთხა გეომეტრიული ფორმით ამოჭრა ფრეზის მეშვეობით, ან ჩაჭრა ასფალტის საჭრელი ხერხით და ამომტვრევა პნევმატური ჩაქუჩით;

2. *მსხვილმარცვლოვანი ა/ბ-ის (ქვედა ფენა) ცხელი ნარევის კონსტრუქციის შესაბამისი სისქით მოწყობა და მისი ვიბროსატკეპნით შემკვრივება (მცირე ფართის შემთხვევაში სასურველია მხტუნავი სატკეპნის გამოყენება);

3. ჩაჭრილი სწორკუთხოვანი კანტების გასუფთავება და თვითწებვადი ბიტუმის ლენტით ან თხევადი ბიტუმით დამუშავება;

4. წვრილმარცვლოვანი ა/ბ-ის (ზედა ფენა) ცხელი ნარვის კონსტრუქციის შესაბამისი სისქით მოწყობა და მისი ვიბროსატკეპნით შემკვრივება (მცირე ფართის შემთხვევაში შესაძლებალია ვიბროფილის გამოყენება); 5სმ ≤ ფენის სისქის შემთხვევაში ნარევი უნდა შემკვრივდეს ორ ფენად;

**მსხვილმარცვლოვანი ა/ბ-ის ნარევის არქონის შემთხვევაში შესაძლებელია წვრილმარცვლოვანი ა/ბ-ის ნარევის გამოყენება მისი მაქსიმალური ფრაქციის შესაბამისი სისქით ფენა-ფენა შემკვრივებით.*

ასფალტის ფენილის ბადისებრი დაზიანება

1. დაზიანებული ა/ბ-ის ფენის (ფენების) მართკუთხა გეომეტრიული ფორმით ამოჭრა;

2. საჭიროების შემთხვევაში დაზიანებული საფუძვლის ფენის მოხსნა საჭირო სისქეზე;

126

3. ახალი საფუძვლის ფენის მოწყობა 0-32 ან 0-40 ფრაქციის ქვიშა-ღორღოვანი მასალით და მისი ვიბროსატკეპნით შემკვრივება (მცირე ფართის შემთხვევაში სასურველია მხტუნავი სატკეპნის გამოყენება);

4. მოწყობილ საფუძველზე მინიმუმ 0.6 ლ/მ^2 ოდენობის ბიტუმის ემულსიის მოსხმა;

5. *მსხვილმარცვლოვანი ფრაქციის ა/ბ-ის (ქვედა ფენა) ცხელი ნარევის კონსტრუქციის შესაბამისი სისქით მოწყობა და მისი ვიბროსატკეპნით შემკვრივება (მცირე ფართის შემთხვევაში სასურველია მხტუნავი სატკეპნის გამოყენება);

6. ჩაჭრილი კანტების თვითწებვადი მოდიფიცირებული ბიტუმის ლენტით ან თხევადი ბიტუმით დამუშავება;

7. წვრილმარცვლოვანი ა/ბ-ის (ზედა ფენა) ცხელი ნარევის კონსტრუქციის შესაბამისი სისქით მოწყობა და მისი ვიბროსატკეპნით შემკვრივება (მცირე ფართის შემთხვევაში შესაძლებელია ვიბროფილის გამოყენება);

**მსხვილმარცვლოვანი ა/ბ-ის ნარევის არქონის შემთხვევაში შესაძლებელია წვრილმარცვლოვანი ა/ბ-ის ნარევის გამოყენება მისი მაქსიმალური ფრაქციის შესაბამისი სისქით ფენა-ფენა შემკვრივებით.*

შიდაკვარტალური გზების და ეზოების ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები

1. დაზიანებული საფარის ზედა ფენის მოხსნა სანგრევი ჩაქუჩით ან ფრეზით საშუალოდ 5 სმ-ზე
2. ორმოების ძირის გასუფთავება შეკუმშული ჰაერის ჭავლის და ჯაგრისის მეშვეობით.
3. ქვესაგები ფენის მოწყობა-შესწორება ფრაქციული ღორღით (0.40მმ საშუალოდ 5 სმ-ზე)
4. მოწყობილ საფუძველზე ბიტუმის ემულსიის მოსხმა.
5. წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევის 4სმ≤ ფენის სისქით მოწყობა და მისი ვიბროსატკეპნით შემკვრივება.
6. უვარგისი ბორდიურების დატვირთვა ა/თვითმცლელებზე და გატანა ნაგავსაყრელზე 10 კმ-მდე მანძილზე.
7. არსებული და/ან ახალი ბორდიურების მოწყობა-მონტაჟი ბეტონის საფუძველზე
8. ტროტუარის შევსება ფრაქციული ღორღით (0.10მმ საშუალოდ 5სმ-ზე)
9. არსებული საკომუნიკაციო ჭების მოყვანა გზის ნიშნულამდე ბეტონის საფუძველზე

127

სამუშაო მოცულობები

№	სამუშაოს დასახელება	განზ-ბა	რ-ბა
1	დაზიანებული ასფალტო-ბეტონის საფარის ფრეზირება და დატვირთვა ა.თვითმცლელზე	$მ^2$	5000
2	დაზიანებული ასფალტო-ბეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით და დატვირთვა ა.თვითმცლელზე	$მ^3$	1000
3	ორმოების ნაწიბურების დამუშავება მთელ პერიმეტრზე ხერხით	გრძ/მ	14000
4	III კატეგორიის გრუნტის (ან ნაშალი მასალის) დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ა. თვითმცლელზე	$მ^3$	100
5	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით და დატვირთვა ა. თვითმცლელზე	$მ^3$	40
6	დაზიანებული ბორდიურის დემონტაჟი და დატვირთვა ა.თვითმცლელზე	გრძ/მ	1800
7	ბეტონის ან კლდოვანი გრუნტის დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ა. თვითმცლელებზე	$მ^3$	14
8	კიუვეტების გაწმენდა და დატვირთვა ა. თვითმცლელზე	$მ^3$	10
9	სამშენებლო ნაგვის გატანა ნაგავსაყრელზე საშუალოდ 10 კმ-ზე	$მ^3$	1654
10	არსებული ბორდიურების მონტაჟი (ბეტონი, ბაზალტი) ბეტონის საფუძველზე. საფუძვლისათვის გამოიყენება არანაკლებ B10 ბეტონი 0.035 $მ^3$ გრძივი მეტრზე	გრძ/მ	1000
11	ახალი ბაზალტის ბორდიურების(15X30X100) მონტაჟი ბეტონის საფუძველზე. საფუძვლისათვის გამოიყენება არანაკლებ B10 ბეტონი 0.035 $მ^3$ გრძივი მეტრზე	გრძ/მ	300
12	ახალი ბეტონის ბორდიურების(15X30X100) მონტაჟი ბეტონის საფუძველზე. საფუძვლისათვის გამოიყენება არანაკლებ B10 ბეტონი 0.035 $მ^3$ გრძივი მეტრზე	გრძ/მ	5000
13	ახალი ბაზალტის ბორდიურის (10X20X100) მოწყობა	გრძ/მ	200
14	ახალი ბეტონის ბორდიურის (10X20X100) მოწყობა ბეტონის საფუძველზე. საფუძვლისათვის გამოიყენება არანაკლებ B10 ბეტონი 0.035 მ3 გრძივი მეტრზე	გრძ/მ	300
15	ახალი ბეტონის ბორდიურის (32X30X100) მოწყობა ბეტონის საფუძველზე	გრძ/მ	60
16	ტროტუარის შევსება ფრაქციული ღორღით (0-10 მმ)	$მ^3$	600
17	ტროტუარის საფარის მოწყობა ქვიშოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით საშ. 3 სმ	$მ^2$	21000
18	არსებული საკომუნიკაციო ჭების მოყვანა გზის ნიშნულზე ბეტონის ფუძეზე	ც	900
19	ლითონის თვალამრიდების მოწყობა	გრძ/მ	40
20	ბეტონის თვალამრიდების მოწყობა	გრძ/მ	50
21	საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით (ფრაქციით 0/70 მმ-მდე)	$მ^3$	400
22	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრ.ღორღით (0-40 მმ)	$მ^3$	8400
23	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა არსებული ასფალტის გრანულატით	$მ^3$	600
24	თხევადი ბიტუმის მოსხმა ნაწიბურებზე 0,35 ლ-დან 0.40 ლ-მდე გრძივ მეტრზე	ლ	30000
25	60%-იანი ბიტუმის ემულსიის მთელ ფართზე მოსხმა (0.35 ლ/$მ^2$)	ლ	2000

12B

26	ნაწიბურების დამუშავება მოდიფიცირებული ბიტუმის ლენტით (მიკვრა)	გრძ/მ	300
27	შემასწორებელი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ.სისქით 2.5 სმ)	ტ	50
28	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ.სისქით 4 სმ)	$მ^2$	25000
29	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ.სისქით 5 სმ)	$მ^2$	1000
30	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ.სისქით 6 სმ)	$მ^2$	600
31	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ.სისქით 7 სმ)	$მ^2$	400
32	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ.სისქით 3 სმ)	$მ^2$	23000
33	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ.სისქით 4 სმ)	$მ^2$	22400
34	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით (საშ.სისქით 5 სმ)	$მ^2$	64000
35	სიჩქარის შემზღუდავი გორაკის მოწყობა ა. ბეტონით	გრძ.მ	300
36	ტროტუარის საფუძვლის მოწყობა ქვიშა–ცემენტით (0-40) (საშ.სისქით 10 სმ)	$მ^3$	60
37	ბეტონის ნაკეთობების აღდგენა ბეტონით (კიბის საფეხური, გზის საფარი, თვალამრიდი და სხვა)	$მ^3$	20
38	ბეტონის თვალამრიდების გასწორება	გრძ/მ	30
39	ლითონის თვალამრიდების გასწორება	გრძ/მ	20
40	ბეტონის ბოძკინტების გასწორება	ც	30
41	ბეტონის ბოძკინტების მონტაჟი	ც	10
42	ახალი გრანიტის ძელაკის საფარის მოწყობა	$მ^2$	400
43	გრანიტის ძელაკით მოწყობილი საფარის აღდგენა	$მ^2$	300
44	ახალი ბეტონის ქვაფენილის საფარის მოწყობა	$მ^2$	200
45	ბეტონის ქვაფენილის საფარის აღდგენა	$მ^2$	100
46	დაზიანებული ქვაფენილის (რიყის ქვა) მოხსნა ხელით	$მ^2$	400
47	საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ცემენტის ნარევით (ცემენტი 10%) სისქით 10 სმ, 20 სმ	$მ^3$	20
48	ქვაფენილის მოწყობა არსებული ქვით (რიყის ქვა)	$მ^2$	800
49	ქვაფენილის მოწყობა ახალი რიყის ქვით	$მ^2$	1100
50	ფრ.ღორღის (0-10) ჩასოლვა ქვაფენილის ზედაპირზე (1,0 $მ^3$/100 $მ^2$)	$მ^3$	10
51	სარტყელის მოწყობა ბეტონით	$მ^3$	14
52	ბ-25 მარკის მონოლითური ბეტონი (არმირებით)	$მ^3$	6

ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ პირობებში უნდა იყოს მითითება თუ რა სახის შემოწმებები და გამოცდები სჭირდება შემსყიდველს და ასევე სად უნდა გაიმართოს ისინი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით.

4.2 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობისა და მისი შესრულების მიმდინარეობაზე შემსყიდველის ან მისი წარმომადგენლის მიერ კონტროლის საკითხები ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

4.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

130

5. დაზღვევა *(ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)*

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბკონტრაქტორის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

6. თანმდევი მომსახურება

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.

6.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

8.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორების ვალუტა

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში *(თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია).*

9.2 ანგარიშსორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

10. ფასები

10.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

131

11.4 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად. *(3.08.2010 N 5)*

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების შესრულების გარანტია *(ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)*

15.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. (გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 1 000 000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო, შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში. *(3.08.2010 N 5)*

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

15.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

132

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

16.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

17.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

17.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

17.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

18. ფორს-მაჟორი

18.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

18.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი

133

მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

19.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. გამოყენებული სამართალი

20.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. ხელშეკრულების ენა

21.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

22. შეტყობინება

22.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

22.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

23. გადასახადები და დაბეგვრა

23.1 უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

23.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

134

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

ხელშეკრულების დამდები მხარეები

შემსყიდველი: ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8–1, სს „ლიბერთი ბანკის“ ც/ფ, ა/ა№ GE95LB0125152101627000, კოდი 220101480, საიდენტ. კოდი 208204959.

მიმწოდებელი: შპს „არსაკიძე 2000“, მის. ქ.თბილისი, ხომლელის 5ა, სს „საქართველოს ბანკის“ ც/ფ, ა/ა№ 158661800, კოდი 220101502, საიდენტ. კოდი 208208599.

მუხლი I. ხელშეკრულების საგანი

ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (2011-2012წწ)

მუხლი II. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს: 3389433.23 (სამი მილიონ სამას ოთხმოცდაცხრა ათას ოთხას ოცდაცამეტი ლარი და 23 თეთრი).

შესყიდვის ობიექტის დასახელება	დაწყება	დასრულება
ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (2011-2012წწ)	01.01.2011წ.	31.12.2012წ.

მუხლი III. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;

მუხლი IV. სამუშაოების შესრულების პირობები

4.1.სამუშაოების შესრულება განხორციელდება შემსყიდველის (წარმოდგენილი ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის სახით) მოთხოვნის საფუძველზე, რაიონის მიხედვით შესაკეთებელი კონკრეტული ობიექტის მისამართი, მოცულობა და შესრულების ვადები ეცნობება მიმწოდებელს;
4.2. სამუშაოები განხორციელდება ეტაპობრივად, 2011 წლის 01 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი V. თანმდევი მომსახურება

5.1 მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

მუხლი VI. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება

6.1.მიმწოდებელი ეტაპობრივად ჩააბარებს შემსყიდველს შესრულებულ სამუშაოებს. სამუშაოების ეტაპობრივი მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა №2-ის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. სამუშაოთა საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ თანახმად ტექნიკური პირობებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.
6.2ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:
ა) ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის ინსპექტირების ჯგუფის წევრები: ბ. გაზდელიანი-გამგებლის მოადგილე, ა.ნებიერიძე-საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი, რ.დიღმელაშვილი-საბინაო-კომუნალური განყოფილების მთავარი სპეციალისტი და გ. გოშაძე- საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

მუხლი VII. ხარისხის გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაო განხორციელდება მის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით და ტექნიკური პირობებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
7.2. ხელშეკრულების გაფორმებისას მიმწოდებელმა წარმოადგინა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **2%-იანი, 3 (სამი) წლიანი** შესრულებული სამუშაოების ხარისხის საბანკო გარანტია:

№	თარიღი	თანხა, ლარი	გარანტიის გამცემი დაწესებულება	მოქმედების ვადა	
				დაწყება	დამთავრება
FRI/10-0358	20.12.2010	33895	სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“	01.01.2012	31.12.2014
FRI/10-0359	20.12.2010	33895	სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“	01.01.2013	31.12.2015

7.3. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და გადმოცემული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი შეადგენს **3 (სამი) წელს** დაწყებული სამუშაოების დამთავრებიდან.

7.4. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს **30** დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

7.5. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან **30** დღის ამოწურვის შემდეგ მიმწოდებელს არ დაუბრუნოს ხელშეკრულების VII მუხლის 7.2. პუნქტში ხსენებული საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

მუხლი VIII. ანგარიშსწორება

8.1.შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად 2011-2012წ.წ, შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით;

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ფორმა №2, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, საბოლოო ანგარიშსწორებისათვის კი მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8.3.შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განხორციელდება ფორმა №2 წარმოდგენიდან არაუგვიანეს - **15** დღის განმავლობაში. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

8.4. მიმწოდებლის მოთხოვნით, მხარეთა შორის წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ 2011 ან 2012 წელს უნდა იყოს წარმოდგენილი საბანკო გარანტია საავანსო გადასახადის თანხაზე, რომელსაც შემსყიდველი გადაიხდის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 საბანკო დღეში;

8.5. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ავანსის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

8.6.შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

მუხლი IX. ფასები

9.1.ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.

მუხლი X. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

10.1. ხელშეკრულების გაფორმებისას მიმწოდებელმა წარმოადგინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით:

№	თარიღი	თანხა, ლარი	გარანტიის გამცემი დაწესებულება	მოქმედების ვადა	
				დაწყება	დამთავრება
FRI/10-0357	20.12.2010	170 000	სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“	01.01.2011	31.01.2013

10.2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

10.3.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების

136

დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).

10.4.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან 1 თვის ვადაში მიმწოდებლის მოთხოვნით უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

10.5.მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

მუხლი XI. მხარეთა უფლება-მოვალეობები

11.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

11.2 შემსყიდველი ვალდებულია:

11.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

11.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

11.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

11.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

11.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

11.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

11.3.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

11.3.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

11.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმდება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

11.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

11.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

11.4.2.სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

10.4.3. გააფორმოს საერთო და სპეც. სამუშაოთა წარმოების ჟურნალები და ფარული სამუშაოების აქტები;

10.4.4. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

11.4.5. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებლს.

11.4.6. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

11.4.7. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

11.4.8. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.

11.4.9. სამუშაოების დასრულების შემდეგ **3 წლის** განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

11.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

11.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

მუხლი XII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

137

12.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
12.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.4. მიმწოდებელმა სამუშაოთა წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეიტანოს ყოველდღიურად ჟურნალში;
12.5. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.
12.6. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტში აღნიშნული პირები.

მუხლი XIII. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. თუ მიმწოდებელი:
ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ ვადაში;
ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
გ) სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს,
შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და აამოქმედოს მე-X მუხლის 10.1 პუნქტში ხსენებული საბანკო გარანტია; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებული წესის შესაბამისად;
13.2.შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:
ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
დ)თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
ე)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
13.3.თუ მიმწოდებელი გადააცილებს შემსყიდველის (წარმოდგენილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სახით) მიერ მითითებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;
13.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.5.საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.6.თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.3 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი XIV გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი“)

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.
14.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.
14.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

მუხლი XV. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

სამუშაოების შესრულების ვადის ცვლილების უფლება მიმწოდებელს შეიძლება მიეცეს შემსყიდველის თანხმობით:
1. "ფორს-მაჟორული“ სიტუაციების ან სხვა ობიექტური მიზეზების შემთხვევაში;

2. გაუთვალისწინებლად ცუდი კლიმატური პირობების შემთხვევაში;

მუხლი XVI. სუბკონტრაქტორები

16.1. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიმწოდებელი წერილობით აცნობებს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორის აყვანის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით), მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტზე გამოცხდებული სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები;
16.2. მიმწოდებლის მიერ მე-16 მუხლის 16.1. პუნქტით გათვალისწინებული სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემების და ინფორმაციების წარმოდგენის შემდეგ, სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
16.3. მესამე მხარეების მიერ მიმწოდებლის წინააღმდეგ სარჩელების წამოყენების და სასამართლო პროცედურების დაწყების შემთხვევაში, შემსყიდველს მათთან დაკავშირებით არ ეკისრება არანაირი ფინანსური პასუხისმგებლობა.

მუხლი XVII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მუხლი XVIII. სადაო საკითხები

18.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლპარაკების საფუძველზე.
18.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი XIX. სხვა პირობები

19.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
19.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
19.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
19.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
19.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

139

არდი ჯგუფი
საფინანსო კომპანია

ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი

№ FRI/10-0357 20.12.2010 წ.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(საბანკო გარანტია)

ვის: ქ. თბილისის, ისანი–სამგორის რაიონის გამგეობას

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს „არსაკიძე-2000" (შემდეგ – "მიმწოდებელი") ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონის გამგეობის ქუჩების მიმდინარე შეკეთების (2011-2012 წლებში) სამუშაოების შესრულებაზე გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად იკისრა ვალდებულება, წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ, გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით,

ვადასტურებთ, რომ:

ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე 170 000 (ას სამოცდაათი ათასი) ლარზე და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

ეს გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოო დამთავრებამდე (2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით).

ა. თ

არმაზ თავაძე

გენერალური დირექტორი

საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის 14ა
ტელ.: +995 (32) 518 516 / ფაქსი: +995 (32) 518 516
office@ardi.ge

140

არდი ჯგუფი
სადაზღვევო კომპანია

დეფექტებზე პასუხისმგებლობის საბანკო გარანტია

№ FRI/10-0358 20.12.2010 წ.

ვის: ქ. თბილისის ისანი –სამგორის რაიონის გამგეობას

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ **შპს „არსაკიძე-2000“ -მა** (შემდგომში "კონტრაქტორი") გააფორმა თქვენთან კონტრაქტი **ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონის გამგეობის ქუჩების მიმდინარე შეკეთების (2011-2012 წლებში) სამუშაოების შესრულებაზე** (შემდგომში "კონტრაქტი") და **2012 წლის 01 იანვარს** უნდა დაასრულოს სამუშაოები.

ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ კონტრაქტის პირობების თანახმად, დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი შეადგენს 3 წელს და კონტრაქტორს უფლება აქვს სამუშაოების დასრულების შემდეგ დეფექტებისათვის დაკავებული თანხა შეცვალოს მოთხოვნითი საბანკო გარანტიით.

კონტრაქტორის თხოვნით, ჩვენ შპს სადაზღვევო კომპანია "არდი ჯგუფი" შეუქცევადად ვიღებთ ვალდებულებას გადაგიხადოთ თქვენ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც მთლიანობაში არ აღემატება **33895 (ოცდაცამეტი ათას რვაას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს** თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე, სადაც მიუთითებთ, რომ კონტრაქტორმა დაარღვია კონტრაქტით მის მიერ აღებული ვალდებულება(-ები), თქვენს მიერ თანხის ან მოთხოვნის საფუძველის წარმოდგენის თუ დასაბუთების გარეშე.

ეს გარანტია ძალაშია **2012 წლის 01 იანვრიდან – 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.** შესაბამისად, ამ გარანტიის ფარგლებში თანხის ყოველგვარი მოთხოვნა უნდა მოგვაწოდოთ ჩვენს ზემოაღნიშნულ მისამართზე ამ თარიღის დადგომამდე.

ეს გარანტია ექვემდებარება მოთხოვნითი გარანტიების ერთიან წესებს, საერთაშორისო სავაჭრო პალატის გამოცემა N458, გარდა ქვე-პუნქტი 20(ა)-ს ქვე-აბზაც (ii)-ისა.

არმაზ თავაძე
გენერალური დირექტორი

საქართველო, თბილისი, 0160, აღ. ყაზბეგის 14ა
ტელ.: +995 (32) 518 516 / ფაქსი: +995 (32) 518 516
office@ardi.ge

141

არდი ჯგუფი
სადაზღვევო კომპანია

დეფექტებზე პასუხისმგებლობის საბანკო გარანტია

№ FRI/10-0359 20.12.2010 წ.

ვის: **ქ. თბილისის ისანი –სამგორის რაიონის გამგეობას**

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ **შპს „არსაკიძე-2000“ -მა** (შემდგომში "კონტრაქტორი") გააფორმა თქვენთან კონტრაქტი **ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონის გამგეობის ქუჩების მიმდინარე შეკეთების (2011-2012 წლებში) სამუშაოების შესრულებაზე** (შემდგომში "კონტრაქტი") და **2013 წლის 01 იანვარს** უნდა დაასრულოს სამუშაოები

ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ კონტრაქტის პირობების თანახმად, დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი შეადგენს 3 წელს და კონტრაქტორს უფლება აქვს სამუშაოების დასრულების შემდეგ დეფექტებისათვის დაკავებული თანხა შეცვალოს მოთხოვნითი საბანკო გარანტიით.

კონტრაქტორის თხოვნით, ჩვენ შპს სადაზღვევო კომპანია "არდი ჯგუფი" შეუქცევადად ვიღებთ ვალდებულებას გადაგიხადოთ თქვენ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც მთლიანობაში არ აღემატება **33895 (ოცდაცამეტი ათას რვაას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს** თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე, სადაც მიუთითებთ, რომ კონტრაქტორმა დაარღვია კონტრაქტით მის მიერ აღებული ვალდებულება(-ები), თქვენს მიერ თანხის ან მოთხოვნის საფუძველის წარმოდგენის თუ დასაბუთების გარეშე.

ეს გარანტია ძალაშია **2013 წლის 01 იანვრიდან – 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.** შესაბამისად, ამ გარანტიის ფარგლებში თანხის ყოველგვარი მოთხოვნა უნდა მოგვაწოდოთ ჩვენს ზემოაღნიშნულ მისამართზე ამ თარიღის დადგომამდე.

ეს გარანტია ექვემდებარება მოთხოვნითი გარანტიების ერთიან წესებს, საერთაშორისო სავაჭრო პალატის გამოცემა N458, გარდა ქვე-პუნქტი 20(ა)-ს ქვე-აბზაც (ii)-ისა.

არმაზ თავაძე
გენერალური დირექტორი

საქართველო, თბილისი, 0160, აღ. აზაბაგის 14ა
ტელ.: +995 (32) 518 516 / ფაქსი: +995 (32) 518 516
office@ardi.ge